



შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტური დასაქმებისა და ინიციატივების
მხარდამჭერი SEIS ცენტრის
დებულება

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმებისა და ინიციატივების მხარდაჭერი SEIS ცენტრი წარმოადგენს: სტუდენტთა დასაქმების, ინიციატივების მხარდაჭერის ხელშეწყობის ცენტრს, რომელიც საქმიანობს არსებული დებულების შესაბამისად.

მუხლი-1 ცენტრის მისია

1.1 შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, პრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და პრომის ბაზრის ტენდენციების კვლევის შედეგად შესაბამისი ტრენინგებისა და შეხვედრების დაგეგმვა და განხორციელება;

მუხლი 2 ცენტრის მიზნები:

2.1 ცენტრის მიზნებია:

- ა) პრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამსაქმებლების და დასაქმებულების შეხვედრების მონაცობა, მათი გამოკითხვის შედეგების ანალიზის შეფასება. ტრენინგების მონაცობა; შეხვედრების დროს სტუდენტებისთვის დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება და გაცნობა;
- ბ) სტუდენტების დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დაგეგმვაში;
- გ) დამსაქმებელთან ურთიერთობაში სტუდენტების მხარდაჭერა, დასაქმების ფორუმების მონაცობა და დამსაქმებლის ჩართულობა;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, პრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება;
- ე) სტუდენტების იდეებისა და პროექტების დახვეწა სწორი რეკომენდაციების მიცემა და დარგის სპეციალისტებთან შეხვედრების ორგანიზირება;

მუხლი 3 ცენტრის საქმიანობა

3.1 ტრენინგები და შეხვედრები დამსაქმებლებთან

ა)ცენტრი სტუდენტებს შრომით ბაზარზე ორიენტაციის მიზნით სთავაზობს: აქტუალურ თემებზე შეხვედრებს, ლექციებს, ტრენინგებს, სტუდენტს აცნობს დამსაქმებლის მიერ დასაქმებისთვის საჭირო აუცილებელ მოთხოვნებს.

ბ)შრომის ბაზრის სპეციფიკის შესაბამისად სამუშაოს ძიების მექანიზმები;

გ)სწორი წარმოჩენა საკუთარი პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და უნარების განსაზღვრა;

დ)რეზუმეს შედგენა, სამოტივაციო წერილის და აპლიკაციების მომზადება;

ე)დამსაქმებელთან ინტერვიუსთვის მომზადება, ასევე კომისიასთან გასაუბრებისას ცოდნის შესაზღვებლობების წარმოჩენა;

ვ)პრეზენტაციის უნარის განვითარება, საჯარო გამოსვლებისთვის მომზადება.

ზ)ტრენინგები და სასერტიფიკატო კურსების შემუშავება და დაგეგმვა ხორციელდება სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად.

3.2 ღონისძიებები და დასაქმების ხელშეწყობა

ა)დასაქმების ფორუმი ცენტრი აწყობს დასაქმების ფორუმებს, შეხვედრებს სტუდენტებისთვის.

ბ)სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების კვლევა

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან სხვა მონყვლადი ჯგუფების წევრი სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა, მათი ჩართვა სოციალურ პროექტებში.

დ)სასწავლო უნივერსიტეტი აწარმოებს დასაქმებული კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის გამოკითხვას.

მუხლი 4 ცენტრის დაქვემდებარება

4.1 ცენტრი ექვემდებარება რექტორს ;

4.2 ცენტრის ხელმძღვანელი ინიშნება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

4.3 ცენტრის ხელმძღვანელის საქმიანობა განისაზღვრება რექტორის და აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

